პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის. თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 2 სექტემბერი, 1944 წ. № 178 (7131). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

წითელი არმიის გამარჯვებანი სამხრეთში. „პრავდის“ მოწინავე 1/IX (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 1 სექტემბრის ოპერატიული ცნობა (1-ლი გვერდი).

ბუქარესტი, 31 აგვისტო (1-ლი გვერდი).

ახალი სასწავლო წლის პირველი დღე (1-ლი გვერდი).

ახალგაზრდობის აღზრდა კომკავშირის უპირველესი მოვალეობაა (მე-2 გვერდი).

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის პლენუმი (მე-2 გვერდი).

კვირაობა საცხოვრებელი სახლებისა და ეზოების კეთილმოწყობისათვის (მე-2 გვერდი).

ტყიბულელთა წარმატებები (მე-2 გვერდი).

უცხოეთის ამბები: გენერალ ეიზენჰაუერის მოხსენება მოკავშირეთა ოპერაციების შედეგებზე საფრანგეთში (1-ლი გვერდი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობა; მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობა; მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ვერდენი; კანადის ჯარებმა დაიკავეს დიეპი; სლოვაკიის ამბები (მე-2 გვერდი).

წითელი არმიის გამარჯვებანი სამხრეთში

ახალ-ახალ გამარჯვებას აღწევს წითელი არმია და მთელ მსოფლიოს უჩვენებს თავის შეურყეველ ძლიერებას, თავის დიად შეტევითს გაქანებას. ომის მეოთხე წელს, ომისა, რომელიც მსოფლიო ისტორიაში უმაგალითოა და რომელმაც ყველა ფიზიკურ და სულიერ ძალთა კოლოსალური დაძაბვა მოითხოვა, ჩვენმა საბჭოთა სახელმწიფომ შესძლო ძლევამოსილი შეტევა ეწარმოებინა მთელს თასვერსიან ფრონტზე — ბალტიკის ნაპირებიდან დუნაის ნაპირებამდე. მტერი ამჟამად უკუგდებულია იმ ხლუდეებზე, საიდანაც მან 1941 წელს თავისი ავანტიურა „ბლიც-კრიგი“ დაიწყო. მთავრდება საბჭოთა მიწა-წყლის გაწმენდა. თავისუფლდებიან ლენინგრადის ქალაქები და სოფლები. წითელი არმია ასრულებს თავის განმათავისუფლებელ მისიას. უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანება გვამცნობს ახალ ისტორიულ გამარჯვებას. უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარები რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში შევიდნენ. პლოეშტი რაიონში და პლოეშტის სამხრეთიო გერმანელთა დაჯგუფების განადგურებით საბჭოთა მეომრებმა თავიდან აიცილეს რუმინეთის დედაქალაქს საფრთხე, რომელიც მას გერმანელებისაგან მოელოდა.

სამხრეთში წარმოებული ბრძოლები გვიჩვენებენ ჩვენი შეტევის სისწრაფეს, მის მომზადებულობას, მის მაღალ ორგანიზატორობას. შემტევ ჯარებს საქმე აქვთ ძლავრ ბუნებრივ დაბრკოლებებთან, მოწინააღმდეგის უძლიერეს გამაგრებულ ნაგებობებთან. ბენდერი, აკერმანი, იზმაილი—ეს მარტო ქალაქები როდია, ეს ძლავრი სამაგრეებია. მტერი მათ ისევე ამაგრებდა, როგორც ამაგრებდა რიმნიკს, გალაცს, ბრაილოვს, კონსტანცას, პლოეშტის.

ამჟამად ეს გამაგრებული ქალაქები, ნავსადგურები, სიმაგრეები აღებულია წითელი არმიის მამაცი ნაწილების მიერ. სამხრეთში წარმოებულ ბრძოლებში ჩვენ ვხედავთ ყველა გვარეობის ჯარების ბრწყინვალე თანამოქმედებას. ამ ბრძოლებში თავისი სიტყვა თქვა ჩვენმა სამხედრო-საზღვაო ფლოტმა. აკერმანისა და კონსტანცის დაკავებისას დიდი როლი შეასრულეს მეზღვაურთა დესანტებმა. მტრის წინააღმდეგ ხმელეთიდან და ჰაერიდან დარტყმებს ერთვოდა დარტყმები ზღვიდან. მოკლე ხანში მტერმა დაჰკარგა თავისი დასაყრდენი დნესტრზე, დუნაიზე, შავ ზღვაში. ჰიტლერელმა დამპყრობლებმა, რომელთაც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ შავი ზღვის ბანინის მნიშვნელოვანი ნაწილის ბატონებად წარმოედგინათ თავი, ამჟამად უმნიშვნელოვანესი ბაზები დაჰკარგეს. ათს წყალქვეშა ნავებს უკვე აღარა ქვთ თავშესაფარი რუმინეთში. მათ დაჰკარგეს საავიაციო ბაზები, საიდანაც მტრის თვითმფრინავები ოდესისა და სევასტოპოლის დასაბომბავად მიდიოდნენ. მათ დაჰკარგეს წყლის გზები, რომლებითაც გაჰქონდათ ბესარაბიელი გლეხებისათვის წართმეული ტერი, რუმინეთის ნავთი.

ჰიტლერული სარდლობა აცხადებდა, რომ იგი რუმინეთის მიწა-წყალს ალ დაიცავდა, როგორც „საკუთარ ტერიტორიას“. წითელი არმიის მძლავრი დარტყმების უკანდახევისას ჰიტლერელები სწავენ და სძარცვავენ რუმინეთის ქალაქებსა და სოფლებს. ათ მხეცური რბევა მოაწყეს გალაცში. ათ დაბომბეს ბუქარესტი. ჰიტლერელი ავაზაკები შურს იძიებენ რუმინელ ალხზე, რომელმაც აღარ ისურვა გერმანიის ფაშიზმის საზარბაზნე ხორცად ყოფნა. წითელი არმია გუშინ რუმინეთის დედაქალაქში შევიდა და ამით მოსპო საფრთხე, რომელიც გერმანელებისაგან მოელოდა ბუქარესტს ჩრდილოეთიდან. რუმინეთის დედაქალაქის მთელი მოსახლეობა ქუჩებში გამოვიდა, რათა შეხვედროდა წითელ არმიას, რომელიც სანიმუშო წესრიგით მიდიოდა ქალაქის ქუჩებში.

ჩვენი ჯარების შეტევა წარმატებით გრძელდება. იგი საბჭოთა ადამიანების გულს სიხარულისა და სიამაყის გრძნობით აღავსებს. წითელი არმია ურტყამს მტერს ჩვენი სამშობლოს სამხრეთ ნაპირას, იმ ადგილებში, რომლებიც განთქმულია ჩვენი წინაპრების საქმეებით. დნესტრისპირეთში და დუნაის ნაპირებზე ომობდნენ სუვოროვი და კუტუზოვი. აქ ყოფილა პუშკინი, რომელიც „ჩრდილოეთის ჩანგით უდაბნოებს აცოცხლებდა“. ომის საქმეებით და მშვიდობიანობის საქმეებით გაითქვა აქ სახელი დიდმა რუსმა ხალხმა, და ამჟამად ამ დიდებას მრავალგზის ზრდიან ჩვენი საბჭოთა დედგმირები. ბენდერისა და იზმაილის, დნესტრისა და დუნაის გადასასვლელთა გმირების საბრძოლო შრომა და საბრძოლო საგმირო საქმეები ოქროს ასოებით იწერება ჩვენი სამშობლოს ისტორიაში.

მთელი საბჭოთა ხალხი მძლავრად უჭერს მხარს თავის მშობლიურ წითელ არმიას მის დიდ შეტევაში. ტანკისტების, მფრინავების, ქვეითების, მეზღვაურების გამარჯვებებში წილი უდევს ჩვენი ქვეყნის მუშათა და გლეხთა შრომითს ღონისძიებებს—და დიდი წილიც! ისინი, მუშები და გლეხები ეხმარებიან მეომრებს. მათმა შრომამ გახადა შესაძლებელი წითელი არმიის უმაგალითო შეტევა 1944 წლის ზაფხულში. გერმანელებს იმედი ჰქონდათ, რომ, როდესაც წითელი არმია აღმოსავლეთ პრუსიას მიადგებოდა, პოლონეთში შევიდოდა, ვისლას, დნესტრს გადალახავდა, იგი თავის ინდუსტრიულ ცენტრებს დაშორებული აღმოჩნდებოდა და ეს გავლენას იქონიებდა მისი შეტევითი ოპერაციების მასშტაბსა და ძალაზე.

გერმანელთა ვარაუდი აქაც ჩაიფუშა—და მერამდენედ! ჩვენი ზურგის კავშირი ჩვენს შემტევ არმიასთან გეოგრაფიული მანძილით, გეოგრაფიული სივრცით როდი განისაზღვრება. ეს კავშირი განისაზღვრება არმიისა და ხალხის დიადი ერთიანობით. ეს ერთიანობა არის წითელი არმიის სასწაულმოქმედი ძალის წყარო.

დიახ, დღეს ჩვენი არმია ურალიდან, კუზბასიდან უფრო შორს წავიდა დასავლეთისაკენ. მაგრამ დღეს იგი ისევე მტკიცედ არის დაკავშირებული ურალელ მეფოლადეებთან, კუზბასის მაღაროელებთან, ვოლგისპირეთისა და ციმბირის გლეხებთან. რაც უნდა გაგრძელდეს კომუნიკაციები, რაც უნდა წინ წავიდნენ ჩვენი ჯარები, ისინი იღებენ და მიიღებენ ჩვენი ქარხნებისაგან, ჩვენი კოლმეურნეობებისაგან ყოველივეს, რაც მათ ესაჭიროებათ მტერზე ძლევამოსილი გამარჯვებისათვის.

ბრწყინვალეა ჩვენი ხალხის მიერ მოპოვებული გამარჯვებანი. ამ გამარჯვებათა შედეგად დაჭრილი ფაშისტი მხეცი, რომელიც სისხლისაგან იცლება, ცდილობს შეძვრეს თავის ბუნაგში, იქ დაემალოს შურისგებას. ჩვენ მანამდე ვერ მოვისვენებთ, სანამ მხეცი საბრლოოდ არ იქნება განადგურებული. კიდევ მოგველის სასტიკი და ძმიმე ბრძოლები, გვახსოვდეს ეს, დავიმკლავოთ და ვჭედოთ გამარჯვება ფრონტზე და ზურგში. თავს დავატეხოთ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს ჩვენი წითელი არმიის მთელი ძლიერება, გავანადგუროთ, საბოლოოდ მოვსპოთ მტერი!

„პრავდის“ 1 სექტემბრის მოწინავე

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

1 სექტემბრის ოპერაციული ცნობა

1 სექტემბრის განმავლობაში ქალაქ პლოეშტის დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები კატინა, ნედელია, დერმენეშტი, ბეკ�ეშტი, ბუშოკრიანაკა, ზოიცა, ტინტოკვა და რკინიგზის სადგურები პრასკოვა, კრივინა.

ქალაქ ბუქარესტის სამხრეთით და აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები მდინარე დუნაისაკენ მიიწევდნენ. დაიკავეს ქალაქები ჯურჯუ, კალერაში და 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები სერულეშტი, დორომერუნტი, დრაგოშ-ვოდე, რადუ-ნეგრუ და რკინიგზის სადგურები სერულეშტი, პრიასნა, ლეხლიუ, სიბირიანუ, დელგა, ჩიმპაცი, ივენეშტი, ჩიულნიცა, სეჩელიანუ, ზიგელია, ბერეგანუ, ფეტეშტი.

ქალაქ კონსტანცის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები წინსვლას განაგრძობდნენ. 6 შენაერთის ნაწილები სწენდდნენ. ტყეებს, ლელიანებს, ხევებს და იპყრობდნენ იქ დამალულ გერმანელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს. ხელთ ვიგდეთ რამდენიმე ალალი სხვადასხვა სამხედრო ტვირთიანად. ცალკე უბნებზე მტრის დაწყაჭული ჯგუფები ცდილობდნენ წინააღმდეგობის გაწევას. ჩვენმა ნაწილებმა მთლიანად მოსპეს გერმანელთა რაზმები, რომლებმაც უარი სთქვეს დაეყარათ იარაღი.

* * *

ქალაქ შაულიაის (შავლის) დასავლეთით მზვერავთა ძიება სწარმოებდა. ერთ უბანზე გერმანელებმა არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლის საფარქვეშ იერიში მიიტანეს ჩვენს პოზიციებზე. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ საბჭოთა მებრძოლებმა უკუაგდეს მოწინააღმდეგე თავდასხმელნი ზღვდეზე. მოსპობილია მტრის 120 ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე 6 ნაწილის მზვერავმა ჯგუფმა თავდასხმა მოახდინა მოწინააღმდეგის პოზიციებზე და ხელთ იგდო 5 ტყვიამფრქვევი, 3 ნაღმსატყორცნი და რამდენიმე ტყვე.

* * *

პრაგის (ვარშავის გარეუბანი მდინარე ვისლის მარჯვენა ნაპირზე) ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით 6 ნაწილის ქვეგანაყოფებმა უეცარი იერიშის შედეგად გერმანელები განდევნეს მაღლობიდან, რომელიც ადგილმდებარეობას დასცქერის. მოწინააღმდეგემ სცადა დაებრუნებინა დაკარგული პოზიციები. ჰიტლერელთა კონტრიერიში მოგერიებულია. მოსპობილია გერმანელთა ქვეითი ჯარის ორი ასეული. წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ქალაქ პლოეშტის დასავლეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ. მოწინააღმდეგე ცდილობს შეაკავოს საბჭოთა ნაწილები იმ მიზნით, რომ დრო მოიგოს, გადაჯგუფოს თავისი განადგურებული ჯარების ნაშთები და მოიყვანოს რეზერვები. ჩვენმა ტანკისტებმა და ქვეითებმა განდევნეს გერმანელები მთელი რიგი დასახლებული პუნქტებიდან. 6 შენაერთის ნაწილებმა მოსპეს ერთ ბატალიონამდე ჰიტლერელი, წამოღებულია დიდძალი დავლა. სხვა უბანზე სწრაფი მანევრის შედეგად საბჭოთა ნაწილება გარს შემოერტყნენ მოწინააღმდეგის ჯგუფს და მოსპეს იგი. ბრძოლის ველზე დარჩა ასობით მოკლული გერმანელი. ტყვედ წამოყვანილია მოწინააღმდეგის 2.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ სამი ტანკი, ხუთი თვითმავალი ქვემეხი და სხვა დავლა.

* * *

ქალაქ კონსტანცის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები წინსვლას განაგრძობდნენ. 6 შენაერთის ნაწილები სწენდდნენ. ტყეებს, ლელიანებს, ხევებს და იპყრობდნენ იქ დამალულ გერმანელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს. ხელთ ვიგდეთ რამდენიმე ალალი სხვადასხვა სამხედრო ტვირთიანად. ცალკე უბნებზე მტრის დაწყაჭული ჯგუფები ცდილობდნენ წინააღმდეგობის გაწევას. ჩვენმა ნაწილებმა მთლიანად მოსპეს გერმანელთა რაზმები, რომლებმაც უარი სთქვეს დაეყარათ იარაღი.

* * *

ქალაქ შაულიაის (შავლის) დასავლეთით მზვერავთა ძიება სწარმოებდა. ერთ უბანზე გერმანელებმა არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლის საფარქვეშ იერიში მიიტანეს ჩვენს პოზიციებზე. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ საბჭოთა მებრძოლებმა უკუაგდეს მოწინააღმდეგე თავდასხმელნი ზღვდეზე. მოსპობილია მტრის 120 ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე 6 ნაწილის მზვერავმა ჯგუფმა თავდასხმა მოახდინა მოწინააღმდეგის პოზიციებზე და ხელთ იგდო 5 ტყვიამფრქვევი, 3 ნაღმსატყორცნი და რამდენიმე ტყვე.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის მფრინავებმა ჩუდის ტბაში ჩასძირეს მოწინააღმდეგის თვითმავალი სადესანტო კარჭაპი.

* * *

ჩვენს ჯარებს ხელში ჩაუვარდათ გერმანელთა მე-10 საარმიო კორპუსის შტაბის 6 აგვისტოს ბრძანება. ეს კორპუსი შედის ბალტიისპირეთში იზოლირებული გერმანელთა ჯარების შემადგენლობაში. თავის ბრძანებაში გერმანელთა შტაბი აღნიშნავს, რომ „იმ უკანდახევის მთავარ მიზეზს, რომელიც თავს მოგვახვია მოწინააღმდეგემ, წარმოადგენს ქვეითთა ჯარის უარი ბრძოლის წარმოებაზე. გერმანელთა ქვეითს ჯარში... აღნიშნულია გახრწნის ფაქტები, რაც უნდა აღმოიფხვრას, თუ არმიების მთელ ჯგუფს არ სურს გაბდეს გარდუვალი კატასტროფის მსხვერპლი“.

ბრძანების პირველ პუნქტში ნათქვამია: „თავიანთ ნაწილებს ჩამორჩენილ ჯარისკაცთა რაოდენობა საშინლად დიდია. დაბეჯითებით გთხოვთ უმოკლეს ვადაში უკლებლივ ყველა ჯარისკაცს განუმარტოთ, რომ ნაწილს ჩამორჩენილი ჯარისკაცი თავის სიცოცხლეს საფრთხეში აგდებს. ყველა ოფიცერი, მოხელე და გადამღობი რაზმები ვალდებული არიან დაკავონ თავიანთ ნაწილებს ჩამორჩენილები და გადასცენ ისინი სამხედრო სასამართლოს ლარობაში ბრალდების წაყენებით, რაც სიკვდილით ისჯება. ასეთივე სიმკაცრით უნდა დაისაჯონ იარაღის დაკარგვისთვისაც“. მაგრამ ასეთი მკაცრი ზომებიც კი ლმობიერად და უაღრესად არასაკმაოდ მოეჩვენა გერმანელთა შტაბს. იმავე ბრძანების მეორე პუნქტში ნათქვამია: „თვითეული ჯარისკაცი, რომელიც აღმოჩენილი იქნება ზურგში დივიზიის საკომანდო პუნქტის უკან, დახვრეტილი იქნება ადგილზე საგანგებო რაზმის მიერ“.

გერმანელთა მე-10 კორპუსის შტაბის ეს ბრძანება ბევრ რამეს მოწმობს. გერმანიის არმიაში ყოველდღიურად იზრდება დეზერტირების რაოდენობა. გერმანელი ჯარისკაცები ცდილობენ ყოველგვარი საბაბით აარიდონ თავი ბრძოლას, ჩამორჩნენ თავიანთ ნაწილს და ზურგში დარჩნენ. ჰიტლერული სარდლობა დრაკონული ღონისძიებებით ცდილობს შეაჩეროს თავისი ჯარების გახრწნის პროცესი და აიძულოს ჯარისკაცები განაგრძონ გერმანიის მიერ უკვე წაგებული ომი. მაგრამ ეს სრულიად ამაო შრომაა. რა ზომებიც არ უნდა მიიღონ ჰიტლერელებმა—კატასტროფას თავს ვერ დაიწევენ. ვერ უშველის მათ „ვეფხვებმა“, „ავაზებმა“ და „ფერდინანდებმა“. ხოლო თავიანთივე ჯარისკაცების, ოფიცრებისა და გენერლების მასობრივი დახვრეტა მით უმეტეს ვერ უშველით.

ჩრდილოეთის ზღვის არტილერისტები

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გაზეთ „კრასნი ფლოტის“ კორესპონდენტი ჩრდილოეთის ფლოტიდან დეპეშით იტყობინება პოლარეთის არტილერისტების ცეცხლოთი თავდასხმების დაწვრილებითს ცნობებს.

სქელმა ნისლმა დაფარა ბორცვები. არტილერიის მზვერავი წითელფლოტელი სიგუა დაძაბულად უგდებდა ყურს ამას, თუ რა ხდებოდა გერმანელთა თავდაცვის წინა კიდეზე. მზვერავის მახვილ ყურს მოესმა ხმაურობა, რომელიც მოწინააღმდეგის მიერ დაკავებული მაღლობიდან აღწევდა. როდესაც ნისლმა გაფანტა იწყო, სიგუამ დაინახა დიდი ჯგუფი გერმანელებისა, რომელნიც გამალებით აშენებდნენ სამაგრეს მაღლობზე. სიგუამ ზუსტად გამოარკვია კოორდინატები და დაუყოვნებლივ აცნობა საკომანდო პუნქტს. საგუშაგოზე მდგომმა ოფიცერმა დგებუაძემ ბრძანება გასცა მაღლობს სროლა აუტეხეთო. პირველი ყუმბარა განზე დაეცა. ოფიცერმა მყისვე შეიტანა შესწორება და მეორე ყუმბარა გერმანელთა შიგ შუა ჯგუფში დაეცა. ჰიტლერელებმა მიატოვეს ინსტრუმენტები, იარაღი, გაიქცნენ და ბევრი მოკლული დასტოვეს.

ლეიტენანტი ნიკოლოზ დგებუაძე ოსტატურად არის დაუფლებული არტილერიის რთულ ტექნიკას. იგი ბატარეის მართვის მეთაურია. მან ჩინებულად მოაწყო დაზვერვა და კავშირგაბმულობა. ერთხელ მისმა მზვერავებმა აღმოაჩინეს და ჩაინიშნეს მტრის სამი ბატარეა. ჩრდილოეთის ზღვის არტილერისტთა მარჯვე დაშენით ბატარეები მოსპობილ იქნა. გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლებში ინიციატივისა და ვაჟკაცობის გამოჩენისათვის ოფიცერი დგებუაძე დაჯილდოებულია წითელ ვარსკვლავის ორდენით.

გენერალ ეიზენჰაუერის მოხსენება მოკავშირეთა ოპერაციების შედეგებზე საფრანგეთში

ვაშინგტონი, 1 სექტემბერი (საკლესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა გენერალ ეიზენჰაუერის მოხსენება მოკავშირეთა ჯარების ოპერაციების შედეგებზე ჩრდილოეთ საფრანგეთში შეჭრის მომენტიდან — 6 ივნისიდან 25 აგვისტომდე.

„მოსპობილია, — ნათქვამია მოხსენებაში,— 5 და განადგურებულია 6 ჯავშანსატანკო დივიზია, მათ შორის ერთი გრენადერთა ჯავშანსატანკო - დივიზია. განადგურებულია 20 ქვეითი დივიზია და ძლიერ შებერტყილია 15; მათ მძიმე ზარალი ეოუვადათ. განადგურებულ ქვეითს დივიზიებს შორის არის მოწინააღმდეგის სამი საუკეთესო საპარაშუტო დივიზია. გარდა ამისა, ერთმა საპარაშუტო დივიზიამ და ორმა ქვეითმა დივიზიამ ყოველგვარი იმედი დაჰკარგეს თავი დაღწიონ გამაგრებულ პუნქტებში გარემოცვის ბრეტანის ნახევარკუნძულზე. ერთი ქვეითი დივიზია იზოლირებულია კუნძულებზე ლამანშში.

მოწინააღმდეგემ სულ დაჰკარგა 400 ათასზე მეტი კაცი მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვეთა სახით, მათ შორის 200 ათასზე მეტი ტყვეთა სახით. ტყვეების რიცხვი კვლავ იზრდება.

წამოღებული ან მოსპობილია მოწინააღმდეგის 1.300 ტანკი და 20 ათასზე მეტი ავტოტრანსპორტის ერთეული. წამოღებულია ან მწყობრიდან გამოყვანილია 500-მდე საალყო, 1.500 საველე და სხვა მძიმე საარტილერიო ქვემეხები. გარდა ამისა, მოწინააღმდეგემ დაჰკარგა დიდძალი სანაპირო არტილერია.

გერმანიის მე-7 არმიამ და ახლად ჩამოყალიბებულმა მე-5 ჯავშანსატანკო არმიამ გამანადგურებელი დამარცხება განიცადეს. ასევე ბედი ეწია 1-ლი და მე-15 არმიების ძირითად მასას. გერმანელთა 3 ფელდმარშალი და არმიის ერთი სარდალი ან გადაყენებულია, ან მწყობრიდან არის გამოყვანილი დაჭრის შედეგად. არმიის ერთი სარდალი, კორპუსთა 3 მეთაური, დივიზიების 15 მეთაური და სიმაგრის გარნიზონის ერთი მეთაური ან მოკლული არიან, ან ტყვედ არიან წამოყვანილნი.

6 ივნისიდან ჰაერში მოსპობილია გერმანელთა 2.378, მიწაზე — 1.167 თვითმფრინავი. გარდა ამისა, შესაძლოა მოსპობილი იყოს 270 და მიწაზე დაზიანებული იყოს 1.028 თვითმფრინავი.

მოწინააღმდეგემ, თავისი ტრაბახი განცხადებების მიუხედავად, რომელთაც იგი აკეთებდა შეჭრამდე, ვერ შესძლო სერიოზულად შეეშალა ხელი ზღვიდან მოკავშირეთა ჯარების ოპერაციებისათვის. უმეტეს შემთხვევაში მოგერიებულია მოწინააღმდეგის იერიშები მოკავშირეთა გემების ქარავნებზე, და მოკავშირეთა ფლოტის ზარალი მცირე იყო. მოწინააღმდეგის ფლოტმა დაჰკარგა 300 გემი, რომლებიც ჩაძირულ იქნენ ან ძლიერ არიან დაზიანებული მოკავშირეთა ოპერაციების შედეგად. გარდა ამისა, ჩაძირულია მოწინააღმდეგის დიდძალი საკავრო გემი, და გერმანელები თვით იყენენ იძულებული ჩაეძირათ თავიანთ ნავსადგურებში მრავალი გემი ყველა ტიპისა — სამხედრო და საკავრო“.

ბუქარესტი, 31 აგვისტო

საბჭოთა ჯარების შეტევამ რუმინეთის ტერიტორიაზე ერთხელ კიდევ ცხადჰყო რუსული იარაღის ძალა, გენერლებისა და ოფიცრების სამხედრო ოსტატობა, საბჭოთა მებრძოლების გულადობა, ამტანობა და მამაცობა. ჩვენი ჯარები, რომლებიც უნარიანად ამამგდნენ სისწრაფეს მოწინააღმდეგისათვის მოულოდნელ კომბინაციებთან და მანევრთან, აქუცმაცებდნენ, ნამსხვრევებად აქცევდნენ მტრის თავდაცვას, გარს ერტყმოდნენ და სპობდნენ ჰიტლერელთა დივიზიებს. გუშინ არმიის გენერალ მალინოვსკის ჯარებმა გაფფრებული ბრძოლების შედეგად დაიკავეს რუმინეთის ნავთის მრეწველობის უდიდესი ცენტრი—ქალაქი პლოეშტი.

პლოეშტისათვის ბრძოლები დაიწყო ბუზეუს ვაკეზე, მდინარე ბუზეუს ბასეინში, რომელსაც სათავე ტრანსილვანიის ალპებში აქვს. მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა. იმ გზატკეცილზე, რომელიც ქალაქ ბუზეუს პლოეშტისთან აერთებს, სასტიკი ბრძოლები გაჩაღდა. ტანკების, ქვეითი ჯარისა და არტილერიის შეთანხმებული დარტყმებით მოწინააღმდეგის ღრმად ეშელონირებული თავდაცვა განადგურებულ იქნა. ქალაქი ბუზეუ ჩვენს ხელში გადმოვიდა. მოვლენები ჩქარი ტემპით ვითარდებოდა. წითელი არმიის ნაწილებმა 30 კილომეტრით წაიწიეს წინ და დაიკავეს ქალაქი მიზილი.

რაც უფრო მივიწევდით რუმინეთის ნავთის მრეწველობის ცენტრისაკენ, გერმანელები მით უფრო აძლიერებდნენ წინააღმდეგობას. პლოეშტის მისადგომებზე მტერი ახალ თავდაცვითს ნაგებობებს აშენებდა და თავი მოუყარა დიდძალ არტილერიას. მაგრამ მტერმა ვერ მოახერხა ჩვენი ქვეითი . ჯარის, არტილერიისა და ტანკების შეტევის შეჩერება. ჩვენმა ნაწილებმა ბრძოლებით დაიკავეს ქალაქი და რუმინეთის ნავთის მრეწველობის ძირითადი ცენტრი—პლოეშტი.

დღეს უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა ახალი დიდი გამარჯვება მოიპოვეს. სწრაფი შეტევის შედეგად მათ გაანადგურეს გერმანელთა ჯარების დაჯგუფება პლოეშტის რაიონში, პლოეშტის სამხრეთით, ქალაქ ბუქარესტში შევიდნენ და ამით მოსპეს საფრთხე, რომელიც გერმანელებისაგან მოელოდა რუმინეთის დედაქალაქს ჩრდილოეთიდან.

ბუქარესტი რუმინეთის ყველაზე დიდი ქალაქია. იგი მდებარეობს იმ დიდმნიშვნელოვანი რკინიგზებისა და გზატკეცილების შეყრის ცენტრში, რომლებიც რუმინეთს აერთებენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან, დუნაისთან და შავ ზღვასთან; იგი რუმინეთის არა მარტო პოლიტიკური და ადმინისტრატიული ცენტრია, არამედ სავაჭრო და ამავე დროს საფინანსო ცენტრიც.

ომის კვალი ქალაქში ყოველ ნაბიჯზე სჩანს. ბევრი შენობა დანგრეულია დაბომბვისაგან. ბულვარებში და მოედნებზე გაეთებულია ხვრელები მცხოვრებთა თავშესაფრებლად საჰაერო განგაშის დროს. ქუჩებში შეხვდებით მთხოვრებს, რომლებიც მოწყალებას სთხოვენ გამვლელთ. რუმინეთი ნავთის ქვეყანაა, მაგრამ ნავთის დუქანთან ერთერთ ცენტრალურ ქუჩაზე—ბრატიანუს ბულვარზე—ნავთის მისაღებად გრძელი რიგი დგას.

ბუქარესტს ემჩნევა იქ გერმანელთა დიდი ხნით ყოფნის დაღი. დაწესებულებათა, სავაჭრო საწარმოთა შენობების ბევრი აბრა თუმცა რუმინულ ენაზეა დაწერილი, მაგრამ გერმანელთა სამმენლად თუ შიშით წარწერები გაკეთებულია გერმანული გუთური შრიფტით.

ქალაქის მოსახლეობა ბეჯითად ადევნებდა თვალყურს რადიოთი და გაზეთებით საბჭოთა ჯარების მიერ გერმანიის დივიზიების განადგურებას რუმინეთის დედაქალაქის მისადგომებზე.

დღეს, განთიადისას, როდესაც წითელი არმიის ნაწილებმა, რომელებმაც გერმანელები გაანადგურეს რუმინეთის დედაქალაქის მისადგომებზე და ამით მოსპეს საფრთხე, რაც გერმანელებისაგან მოელოდა ქალაქს, ბუქარესტში შესვლა იწყეს, მთელი მოსახლეობა ქუჩებში გამოვიდა. საბჭოთა სამხედრო კოლონების მოძრაობის მარშრუტზე ქუჩები სავსე იყო ხალხით.

ქალაქის ჩრდილოეთ განაპირა უბნიდან, კოლენტინის გზატკეცილზე, წითელი არმიის ნაწილების თავში გამოჩნდა ავტომობილ-ამფიბიების კოლონა. ღია ავტომობილებში ისხდნენ წითელი არმიის მზისა და ქარისაგან გარუჯული ოფიცრები და მებრძოლები, რომლებმაც რუმინეთის ტერიტორიაზე ბრძოლებით გაიარეს ასობით კილომეტრი. ფრონტის გზების თეთრი მტვერი სქლად დაჰფენოდა მანქანებს, ავტომატებს, მებრძოლებისა და ოფიცრების ტანსაცმელსა და სახეებს. კაპიტანმა მიხეილ გილბომ, რომელიც ამ კოლონას მეთაურობდა, გვიამბო, ჩემი ქვეგანაყოფი, რომელიც საზღვარზე გალაცის მახლობლად გადმოვიდა, შეუსვენებლივ მოდიოდა რუმინეთის დედაქალაქამდეო. მებრძოლებსა და ოფიცრებს, რომლებიც გერმანელთა ნაწილებს ანადგურებდნენ, მთელი ამ ხნის განმავლობაში არც ერთი მოსვენებული დღე, არც ერთი მოსვენებული ღამე არა ჰქონიათ. მუდამ ბრძოლებში, მუდამ ლაშქრობაში იყვნენ.

ამფიბიების შემდეგ დაუსრულებელ ქარავნად მოდიოდნენ საბჭოთა მოტოციკლისტები. მოტოციკლისტთა ნაკადები განუწყვეტლად აგუგუნებდნენ კლაქსონებს და ზედიზედ ავსებდნენ ქუჩებს. კოლონის თავი უკვე დიდი ხანია მოსახვევს მიეფარა, ხოლო მისი ბოლო ჯერ კიდევ არ სჩანდა. ეს მოტოციკლისტები, რომლებიც წითელი არმის მოძრავ რაზმებს შეადგენენენ, დაუღალავად სდევნიდნენ გერმანელთა ჯარების განადგურებულ და დაქუცმაცებულ რაზმებს.

გზატკეცილზე გამოჩნდა ჩვენი არტილერისტების კოლონა. რუმინელებს უნახავთ გერმანიის სხვადასხვანაირი ტექნიკა: ბუქარესტში იდგნენ გერმანიის მრავალრიცხოვანი ნაწილები, ქალაქით მიდიოდნენ გერმანელთა მოტორიზებული ჯარები, მაგრამ იმის, რასაც ახლა დედაქალაქის მცხოვრებნი ხედავდნენ,—არ შეიძლებოდა არ გადაეჭარბებინა ყველა მათი წარმოდგენისათვის სამხედრო ტექნიკის ძლიერებაზე. ტრაქტორ-საწევრებს უკან ძმიმედ რახრახებდნენ შორმსროლელი უზარმაზარლულიანი საიერიშო ქვემეხები. მიდიოდნენ საბჭოთა ტანკები და თვითმავალი ქვემეხები, რომლებიც თავიანთი სიმძიმით ქვაფენილს ზნექავდნენ. გზის თეთრი მტვრით დაფარულ ტანკების ჯავშანზე ისხდნენ ჩვენი მეავტომატეების დესანტები. ტანკების შემდეგ მოდიოდნენ ჯავშანტრანსპორტიორები, ჯავშნიანი ავტომობილები, ტანკეტები, მათს შემდეგ კი კვლავ მძიმე ტანკები.

საბჭოთა ჯარების მრავალკილომეტრიან კოლონას, რომელიც ბუქარესტზე გადიოდა, ამთავრებდა სატვირთო მანქანების დაუსრულებელი ნაკადი მოტორიზებულ ქვეით ჯარიანად. მანქანებით მიდიოდნენ მებრძოლები და ოფიცრები, რომლებიც არაერთგზის არიან აღნიშნულნი უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებებში. ისინი თავიანთი ხიშტებით ანგრევდნენ გერმანელთა სიმაგრეებს, ჭლეტდნენ ფაშისტებს იასისთან და ბრაილოვთან, სლობოზიასთან და ბუქარესტის მისადგომებზე.

საბჭოთა ჯარების მოძრაობის მთელ მანძილზე ბუქარესტის ქუჩებში სანიმუშო წესრიგი სუფევდა.

ახალგაზრდობის აღზრდა კომკავშირის უპირველესი მოვალეობაა

ამას წინათ საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუშაობის ანგარიში და მიიღო სათანადო დადგენილება.

31 აგვისტოს შესდგა საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის საქალაქო აქტივის კრება, რომელზეც მოხსენებით—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესახებ—გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ბალავაძე.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, — განაცხადა ამხ. ბალავაძემ, — აღნიშნა, რომ საქართველოს კომკავშირმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, სეროიზული მუშაობა გასწია დიდი სტალინის მიერ საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრისათვის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის დასარაზმავად. ამასთან საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტემა თავის დადგენილებაში მიგვითითა იმ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, რომლებიც საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში მოიპოვება, და გადაჭრით მოითხოვა ხელმძღვანელი კომკავშირული მუშაკებისაგან, თვითეული კომკავშირელისაგან მთელი მუშაობის გაუმჯობესების გზით მიაღწიონ აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

რაში მდგომარეობს საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის ძირითადი ნაკლი?

საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა და მათ შორის თბილისის ორგანიზაციამ დაიიოწყეს თავიანთი ძირითადი ამოცანა —ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდა. საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტემა აღნიშნა, რომ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი. საქალაქო კომიტეტები და რაიკომები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ახალგაზრდობაში პოლიტიკური და კულტურულ-მასობრივი მუშაობის დაყენებას. ბევრი კომკავშირული ორგანიზაცია მოწყვეტილია ახალგაზრდობას, ინგარიშს არ უწევს ახალგაზრდობის მისწრაფებასა და მოთხოვნილებას.

სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს თბილისის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობასაც. დედაქალაქის მთელ რიგ კომკავშირულ ორგანიზაციებში ადგილი აქვს ბროპაგანდისა და აგიტაციის შეუფასებლობას, კომკავშირელი აქტივისტები — კომკავშირის კომიტეტის მდივნები, ბიუროს წევრები არ ეწევიან საგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას. კომკავშირის ლენინის რაიკომის მდივანნი ამხ. დომენია 4 თვის მანძილზე ერთხელაც არ გამოსულა ახალგაზრდობის წინაშე პოლიტიკური მოხსენებით. ორაფერს აკეთებს რაიკომის მომხსენებელთა ჯგუფიც. წამყვან საწარმოებში — სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა, 26 კომისრის სახელობის ქარხანა, ტრიკოტაჟკომბინატი, — კომკავშირის ლენინის რაიკომისა და კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით ერთხელაც არ ჩატარებულა მოხსენება სპეციალურად ახალგაზრდობისათვის. ამ საწარმოებში სააგიტაციო მუშაობა შემოფარგლულია ახალგაზრდობის ვიწრო წრეში მხოლოდ გაზეთების ხმამაღალ კითხვით, აგიტატორები წინასწარ არ ემზადებიან საუბრებისათვის.

მსგავსი ნაკლოვანებები ახასიათებს კომკავშირის კირთვის რაიკომის მუშაობასაც. კომკავშირის რაიკომი დაუსრულებლივ სცვლის მომხსენებელთა ჯგუფის „სუტ“ წევრებს „ძლიერებით“, მუშაობა კი არ სრანს. კომკავშირის რაიკომის მდივანს ამხ. ო. კერძაიას უკანასკნელ ხანებში პოლიტიკურ თემებზე არც ერთი მოხსენება არ გაუკეთებია ახალგაზრდობისათვის.

არასაკმაოდ გამოდიან პოლიტიკური მოხსენებებით ახალგაზრდობაში ავრეთვე კომკავშირის თბილისის კომიტეტის. მუშაობა ნ. გოგლიძე, ლ. ტყეშელაშვილი და სხვები.

ბევრგან თვალსაჩინო აგიტაციას სერიოზული ყურადღება არ ექცევა. პლაკატები, ლოზუნგები, „ელვა“. საწარმოო მაჩვენებელთა შესრულების გრაფიკები, პატრიოტული წერილები ფრონტიდან და ფრონტზე—ყოველივე ეს ნაკლებად არის გამოყენებული ახალგაზრდობის დასარაზმავად.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის, მუშა ახალგაზრდობის, კადრებისა და საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებანი საკმაო დახმარებას არ უწევენ კომკავშირის თბილისის კომიტეტსა და რაიკომებს.

სერიოზული ნაკლოვანებებია ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური განათლების დარგშიც. კომკავშირელთა ნაწილი ნაკლებად ეუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. პოლიტწრეების მუშაობას, კომკავშირული აქტივის თეორიულ სწავლებას სათანადო ყურადღება არ ექცევა. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, საქალაქო კომიტეტები და რაიკომები კონტროლს არ უწევენ კომკავშირული კადრების დამოუკიდებელ მუშაობას თავის-თავზე, საკმაოდ არ ეხმარებიან მათ.

ახალგაზრდობის აღზრდის ერთ-ერთი სერიოზული ფორმა — კულტურულ-მასობრივი მუშაობა მთელმა რიგმა კომკავშირულ ორგანიზაციებმა სავსებით მიივიწყეს. მხატვრულ თვითმოქმედებას, საღამოების მოწყობას ყურადღება არ ექცევა.

აღმზრდელობითს მუშაობაში სუსტად არის გამოყენებული ბიბლიოთეკები. იშვიათად ეწყობა წაკითხული წიგნების განხილვა. მწერლებთან შეხვედრა, ლიტერატურული საღამოები, არ ხდება მოწინავე ლიტერატურული წრეების მუშაობის გამოცდილების პოპულარიზაცია.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტემა განსაკუთრებით აღნიშნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და კომკავშირის თბილისის კომიტეტის სუსტი მუშაობა ეუშაობა ახალგაზრდობის საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებისა და კულტურულ-მასობრივი ძუშაობის დარგში.

კომკავშირის თბილისის კომიტეტი და ორჯონიკიძის რაიკომი საკმაო ყურადღებას არ უთმობენ უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირულ ორგანიზაციებს, სტუდენტთა შორის მასობრივ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას.

აღინიშნა აგრეთვე ნაკლოვანებანი შინასაკავშირო მუშაობის—კომკავშირული კრებების მომზადებისა და ჩატარების, დადგენილებათა შესრულების, კომკავშირის რიგების ზრდის, ძირეულ ორგანიზაციებზე ხელმძღვანელობის დარგში.

თბილისის კომკავშირის აქტივის ამოცანა,— განაცხადა მომხსენებელმა, — მდგომარეობს იმაში, რომ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება გავაცნოთ თვითეულ კომკავშირელს, დავრაზმოთ მთელი ახალგაზრდობა ამ დადგენილების განსახორციელებლად, ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გადაჭრით გასაუმჯობესებლად. კომკავშირის თბილისის ორგანიზაციები, პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობითა და დახმარებით, შესძლებენ თავის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, წარმატებით შეასრულებენ პარტიის ყველა დავალებას, ჩვენი მამისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მითითებებს.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს რ. ტარაევმა (ნ ქარხანა), ნ. ლაზარაშვილმა (სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა), გ. გოგიჩაშვილმა (კომკავშირის სტალინის რაიკომი), ვ. ჩარკვიანმა (თბილისის საბჭო), ჭ. ჩიტძიეკ (ბერეშუმსაქსოი ფაბრიკა), ო. კერძაიამ (კომკავშირის კირთვის რაიკომი). მ. დომენიამ (კომკავშირის ლენინის რაიკომი), დ. ყიფიანმა (№-5 სახელოსნო სასწავლებელი), კ. ალმოევმა (კალინინის სახელობის ქარხანა), ა. შენგელიამ (კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანი).

აქტივის კრებამ დასახა ღონისძიებანი საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებისათვის.

კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. ჩერქეზიამ.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტაპანოველი ხარატები (მარცხნიდან მარჯვნივ) ორდენოსანი შალვა ზაალიშვილი და მიხეილ მამაგეიშვილი, რომლებიც დავალებებს 300-350 პროცენტით ასრულებენ.

ფოტო რ. აკოფოვისა

კვირაობა საცხოვრებელი სახლებისა და ეზოების კეთილმოწყობისათვის

ქალაქის კეთილმოწყობის საქმეში დიდია მშრომელთა ფართო მასების როლი. მაგრამ მოსახლეობის ინიციატივას საცხოვრებელი სახლების, ეზოებისა და ქუჩების დასუფთავებისა და შეკეთებისათვის მშრომელთა დეპუტატების თბილისის რაიონული საბჭოები აქამდე ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. ეს აღნიშნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის XII პლენუმმა, რომელმაც განიხილა საკითხი საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

გაჩაღდა მუშაობა პლენუმის გადაწყვეტილების განხორციელებისათვის. ქალაქის მთელ რიგ რაიონებში ეწყობა მშრომელთა კვირაობანი ქუჩებისა და ეზოების დასასუფთავებლად, საცხოვრებელი სახლების შესაკეთებლად.

27 აგვისტოს კვირაობაში მონაწილეობა მიიღო ახობით მუშამ, მოსამსახურემ, დაასახლისმა, რომლებმაც გასწმინდეს ეზოები, შეაკეთეს წყალსადენი და საკანალიზაციო ქსელი, სახლთა სახურავები და სხვ.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების ვალია კიდევ უფრო მასობრივი გახადონ კვირაობანი, მთელი მოსახლეობა ჩააბან ქალაქის კეთილმოწყობაში.

ქვემოთ ვათავსებთ ინფორმაციებს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

სტალინის რაიონი

სტალინის რაიონში არაერთგზის მოეწყო მშრომელთა მასობრივი კვირაობა და დასუფთავებულ იქნა 475 საცხოვრებელი სახლის სარდაფები, ეზოები, საერთო სარგებლობის ოთახები, ჩატარდა ბინების მიმდინარე რემონტი. მაგალითად, № 111 სახლთმმართველობის თერთმეტსავე საცხოვრებელ სახლში აგრონომ ე. ჯიქიას თაოსნობით მოეწყო კვირაობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 188 მობინადრემ. მათ გასწმინდეს სარდაფები, შესასვლელები, ეზოები და საერთო სარგებლობის ადგილები, აგრეთვე გადაბარეს და მიწა შემოაყარეს მწვანე ნარგავებს. მობინადრეებმა ამხ. სტერინმა საკუთარი მასალით შეაკეთა სახლის სახურავი.

კამოს ქუჩაზე № 84 სახლის მცხოვრებლებმა ხრეშით ამოავსეს გაუქმებული თავშესაფრის ხვრელები. პასტერის ქუჩაზე № 8 სახლის მობინადრემ ამხ. ახრომენკომ თავისი მასალით შეაკეთა კომუნალური შენობის ბინა. კამოს ქუჩაზე № 80 სახლის მობინადრეთა ბრიგადამ ამხ. მელიქ-ბაბახანოვის, ფეოფილატოვის, გუნცაძისა და ხუსკივაძის შემადგენლობით შეაკეთეს სანაგვე ყუთი, სილის შესანახი ყუთი, ეზოსა და ბაღის ღობე, რკინის ალაყაფის კარები და შეუდგნენ საერთო სარგებლობის სამრეცხაოს შეკეთებას. ამავე სახლის მდგურმა ამხ. ცარეკოვმა შეაკეთა საერთო სარგებლობის საპირფარეშოს კარი და გაამაგრა შენობის დაზიანებული კედელი. ტექნიკურ ქუჩაზე № 6 სახლის მცხოვრებმა დურგალმა ამხ. საინოვმა წესრიგში მოიყვანა სანაგვე ყუთი. ორჯონიკიძის ქუჩაზე № 122 სახლის მობინადრეებმა შეაკეთეს საერთო სარგებლობის ბაკანი, ონკანები, ხიბლშიდა საკანალიზაციო ქსელი და სანაგვე ყუთი.

ორჯონიკიძის რაიონი

ორჯონიკიძის რაიონში კვირაობაში მონაწილეობა მიიღო 200-ზე მეტმა კაცმა ლენინის ქუჩაზე № 29 სახლის მობინადრეებმა ამხ. შეროზიამ, ჩილოჩავამ, ტრაპაიძემ, კირაკოსიანმა, სხვიტარიძემ, მაკაევამ, ხანთაძემ, ღოლობერიძემ და უშვერიძემ დაასუფთავეს ეზო. შესასვლელი, კიბეები და სარდაფი. პეროვსკაიას ქუჩაზე № 13 სახლის მცხოვრებლებმა შეაგროვეს ეზოში მოფანტული აგური და ხის მასალა და საკუთარი ძალებით ამოაშენეს 13 კვადრატული მეტრი დაზიანებული აგურის კედელი. გაუკეთეს თავშესაფარს შესასვლელი და დაიწყეს აგურის სანაგვე ყუთის შენება. რაც ერთ დღეს სანახევროდ დამთავრეს.

მრავალი სახლთმმართველოა მუშაობის კარგ მაგალითს აძლევს მობინადრეებს. სახლთმმართველი ამხ. ე. კაკულია და აგიტატორი ამხ. ვ ვეფხვაძე თვითონ ავიდნენ ლენინის ქუჩაზე მდებარე № 40 სახლის სახურავზე და შეაკეთეს ის. სახლთმმართველებმა ამხ. ლ. ლიპარტიანმა და ქ. ჯანიანმა კარგად ჩატარებული წინასწარი მუშაობის შედეგად კვირაობაზე 38 კაცი გამოიყვანეს.

კვირაობა მოეწყო ავრეთვე თბილისის აბრეშუმსაქსოი ფაბრიკის საერთო საცხოვრებლებში. გარეცხეს იატაკი, კედლები, ფანჯრები, დერეფანი და საერთო სარგებლობის ოთახები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სახლთმმართველი ერთნაირად როდი გამოეხმაურა ამ საქმეს. მაგალითად, სახლთმმართველმა ამხ. მ. ვართანოვამ ამ დღეს კვირაობა ჩაშალა. ასევე ვერ ინახეს ყურადღებაში კვირაობის ჩატარება სახლთმმართველმ: ამხ. თ. ოქროშაშვილმა.

ბერიას რაიონი

ბერიას რაიონის მშრომელებმა ლდიდესი ენტუზიაზმით ამუშავეს ქუჩების, ეზოების და სახლების დასუფთავება-შეკეთებისათვის.

წერეთლის ქუჩაზე მდებარე № 19 სახლის 25 მობინადრემ საკუთარი სამუალებით დაამზადა და საკანალიზაციო ჭას გაუკეთა სახურავი, გამოსცალა 2 გაფუჭებული და გაწმინდა ყველა დანარჩენი წყალსადენარი მილი, შეაკეთა სახლის სახურავი, 4 ხის კიბე, დაამაგრა მოაჯირის შერყეული სვეტი. ამას გარდა მთლიანად დასუფთავეს ნაგვისაგან ახლის ეზო, კიბეები და საერთო სარგებლობის ადგილები. გარეცხეს და ახალი წყლით გაავსეს ხანძარსაწინააღმდეგო ყასრები. მობინადრეთა შორის აქტიური მუშაობით გამოირჩეოდნენ ამხ. მარგოლინი, ბუაძე, ნიკოლაიკა, რომანინა, იავრიანი და სხვ. მობინადრეთა აქტივისწყრომა დაიმსახურეს ბაინდურთოვამ და ირუთინოვამ, რომლებიც გვერდს უვლიან საცხოვრებელი ფონდის საზოგადოებრივ მოვლას.

ძერჟინსკის ქუჩაზე მდებარე № 18 სახლის მობინადრეებმა საკუთარი ძალებით შეაკეთეს სანაგვე ყუთი, გამართეს წყალსაზომი ონკანი, მოაწყეს წყალსაზომი ჭის სახურავი, შეაკეთეს საპირფარეშოების ცემენტის იატაკი, დასუფთავეს და შეაკეთეს სახლის სახურავი, შემობარეს და მიწა შემოაყარეს ეზოს მწვანე ნარგავებს, გაიტანეს ეზოს ნაგავი და სხვ.

დიდი მუშაობა გასწიეს ძნელაძის ქუჩაზე მდებარე № 41 სახლის მობინადრეებმა. მათ ცემენტი მოასხეს იატაკს ბაკანთან, შეაკეთეს საერთო სამზარეულოს იატაკი, ფრონტელის ქალის ამხ. ჯდფარიძის ბინის დაზიანებული კედელი, საერთო სამრეცხაოს ოთახი.

კვირაობის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი მოსამზადებელი მუშაობის დროზე ჩატარებამ. ამ საქმეში ჩაბმული არიან რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები და სახლთმმართველები. განსაკუთრებული ინიციატივა გამოიჩინეს ამხ. გორგიაძიანმა, ელისაშვილმა, სინაბრიძემ, თორაძემ, ქორიძემ, ტაბატაძემ, ვართაპეტოვმა, სმირნოვმა.

კიროვის რაიონი

წარმატებით ჩატარდა კვირაობა კიროვის რაიონში. კვირაობის მონაწილენი დაყოფილ იყვნენ სამ ბრიგადად, რომლებიც მიმავრებული იყვნენ ცალკეულ უბნებზე. მათ ამ დღეს გასწმინდეს და სრულ წესრიგში მოიყვანეს ტერიტორია გოგორდის აბანოების ირგვლივ, აბანოს ქუჩა, მისი შესახვევები და ჩიხები, დაბაბანის ბევი, ტაგი-ზადეს ქუჩა, თათრის შესახვევი, ახუნდოვის ქუჩა შესახვევებითა და ჩიხებითურთ. გაწმენდილ იქნა ამ ქუჩებზე მდებარე სახლების ეზოები ნაგვისა და ნაგავისაგან. ბრიგადებმა ეიტანეს 12 ტონა ნაგავი და 30-მდე ტონა შლამი.

მოედნების, ქუჩებისა და ეზოების გარდა ვირაობის მონაწილეებმა დაასუფთავეს 117 საცხოვრებელი სახლის სარდაფები. სხვენები, შესასვლელები და კიბეები. ამ საქმეში მონაწილეობა მიიღო 373 დისახლისმა. აქტიურად იმოქმედეს ამიერ-კავკასიის ქუჩაზე მდებარე № 20, 32 და 24 სახლების მობინადრეებმა—დისახლისებმა გურალაშვილმა, ბორჩულაძემ, ზარატიანმა, სედნევამ და სხვ. მათ საცხოვრებელი სახლების გარდა-დასუფთავეს საერთო სამრეცხაო ოთახი, კვირაობაზე მომალაქეობრივი მოვალეობის შეგნების ნიმუში გვიჩვენეს აგრეთვე დისახლისებმა ამხ. ლომინაძემ, ნასიბოვამ, მახარაშვილმა, სავანელმა, ჯანიმზადემ, სუდაკოვამ, ჯანელიძემ, ნინიბეკოვამ და გიგინეიშვილმა.



ლიკვიდირებული ბანდიტიზმი

საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის—ასკანიაზეა მოძრავ მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შეჯახების ცნობა

ლონდონი, 1 სექტემბერი (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია:

გერმანელთა გარნიზონმა რატონოსა და პომეგის კუნძულებზე, რომლებიც ბარსელის მახლობლად მდებარეობენ, კაპიტულაცია მოახდინა.

იტალიაში, ფრონტის ადრიატიკის უბანზე, მე-8 არმიის ნაწილები მძიმე ბრძოლებს აწარმოებენ მტრის წინააღმდეგ, რომელიც ძლიერ წინააღმდეგობას ეწევა მაოლობ ადგილზე მდინარე ფოლიას ჩრდილოეთით.

აპენინის დასავლეთით მე-8 არმიის სხვა ნაწილები განაგრძობდნენ წინსვლას „გუთერ ხაზისაკენ“.

სამხრეთ საფრანგეთში დაახლოებით 55 მილზე ლიონის სამხრეთით ამერიკის ჯარებმა ვალანსი დაიკავეს. მოკავშირეთა ჯარ ძლიერ ავიწროებენ უკანდახეულ მოწინააღ დგეგს. ფრანგთა ნაწილებმა, რომლებიც მიიწევენ სამხრეთ-დასავლეთით ესპანეთის ზღვრის მიმართულებით და დასავლეთით ნს, ნაპირების გასწვრივ, დაიკავეს მონაკო ბეზიე და ნარბონი.

ავიაგამანადგურებლები გუშინ თავს ესხ ნენ რეგინის აეროდრომს რუმინეთში. წყაზე მოსპობილია მოწინააღმდეგის თვითმფრინავი. როგორც ცნობილი გახდა, კავშირეთა ავიაციის ოპერაციების დროს აგვისტოს მიწაზე მოსპობილ იქნა 97 თვითმფრინავი. ბომბდამშენი ავიაცია ბრძობდა დარტყმებს მტრის სამხედრო ობიექტებზე საფრანგეთში, იტალიასა და ბულგარეთში.

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი საჰდლობის შეჯახების ცნობა

ლონდონი, 1 სექტემბერი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის 1 სექტემბრის ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარებმა, რომლებიც ჩრდილოეთის მიმართულებით წინ მიიწევდნენ ბოვეს რაიონიდან, გუშინ მიაღწიეს ამიენს და შეჰქმნეს მტკიცე ხიდწინა სომაგრე მდინარე სომაზე. ამ წინსვლისას აღებულია რამდენიმე ქალაქი.

შუაგზაზე რუანსა და დიეპს შუა დაკავებულია ტორტ. გუშინ ტყვედ წამოყვანილთა შორის ამყოფება გერმანიის მე-7 არმიის სარდალი.

მოკავშირეთა სატანკო ნაწილებმა ბოვეს რაიონში წინ წაიწიეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდინარე ბრეშის გასწვრივ და ხელთ იგდეს ბრელი და ფუკეროლი. მოკავშირეთა ჯარებმა, რომლებიც პარიზის ჩრდილოეთ ოტტევენ, დაიკავეს კრეპი და იქიდან წინ წ წიეს არმონისაკენ. ბრვეარი რუზმები კონ ენის მახლობლად იმყოფებიან.

მოკავშირეთა ჯარებმა, რომლებიც ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით ჩრდილოეთითა ზოგიერთ პუნქტში წინ წაიწიეს 10 მილ სხვა რაზმები შევიდნენ ლაონში, სადაც ჩაღდა გაფთრებული ბრძოლები. ამ ნ ლებმა, რომლებიც მოქმედებენ ტროას ა სავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით, ციერთ პუნქტში წინ წაიწიეს 20 მილზე მანძილით.

ბრეტანში იკვრება მოკავშირეთა ჯარ რკალი ბრესტის ირგვლივ.

მოკავშირეთა ავიაციამ მთელი რიგი ობ სხვებები მოახორხა მტრის სამხედრო ობიექ ზე.

მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ვერდენი

ლონდონი, 1 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს ციხე-სიმაგრე და ქალაქი ვერდენი, რომელიც მდებარეობს 26 მ ბელგიის საზღვრის სამხრეთით.

კანადის ჯარებმა დაიკავეს დიეპი

ლონდონი, 1 სექტემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომელიც კანადის პირველ არმიასთან იმყოფება საფრანგეთში, კანადის ჯარებმა უბრძოლველად დაიკავეს დიეპი.

სლოვაკიის ამბები

ჟენევა, 31 აგვისტო (საკდესი). სლოვაკიის მარიონეტულმა „პრეზიდენტმა“ ტისომ ბრატისლავის რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც აღიარა, რომ პარტიზანები და მათთან შეერთებული „ცალკეული ჯგუფები“ მიისა, მიწის მუშები, ხელოსნები და ინ ჯანყდნენ.

საშინაო მდგომარეობა სლოვაკიაში

ლონდონი, 1 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ჩეხოსლოვაკიის ხელისუფალთა ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ სლოვაკიაში სწარმოებს სასტიკი ბრძოლები ჩეხოსლოვაკიის პატრიოტებსა და გერმანელთა საოკუპაციო ჯარებს შორის ქალაქების ჟილინის, ტრნავისა და გალანტის სამხრით. ბრძოლები სწარმოებს აგრეთვე ქალაქებ ლუჩენეცის, ლევოჩისა და კეზმაროკისათვ ქალაქი ჟილინა, რომელიც წინათ დასტ ჩეხოსლოვაკიის პატრიოტებმა, კვლავ ხელშია.

მოკავშირეთა ჯარებმა გადალახეს იზერის საზღვარი

ალჟირი, 1 სექტემბერი (საკდესი). როგორც ალჟირის რადიო გადმოგვცემს, მოკავშირეთა ჯარების მეწინავე რაზმებმა, რომელნიც სამხრით საორნანგეთში იმყოფებიან, ტიმილიის რაიონში გადალახეს იტალიის ს ღვარი.

საბერძნეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის საბრძოლო მოქმედება

სტამბოლი, 1 სექტემბერი (საკდესი). ამ მიღებული ცნობებით, 21 აგვისტოს ბერძენ პარტიზანთა რაზმები შევიდნენ ატერინიში. პარტიზანებმა დაიბრიეს გერმანელ და იტალიელ ფაშისტთა ყაზარმები, განაიარაღეს ადგილობრივი ყაზდარმერია და ხელთ იგდეს დავლა. სკიარია-პეტრიას რკინიგზის ხაზზე პარტიზანებმა ააფეთქეს სარკინიგზო შემადგენლობა მოწინააღმდეგის ჯარებიანად და ტ თიანად. მოძრაობა ამ ხაზზე შეწყვეტილ ი 18 საათით.

ანკარატოსის სექტორში, სომარი მასალ ნაკლებობის გამო, საბერძნეთის სახალხო-გ მთავისუფლებელი არმიის ნაწილები აძევ ბული გახდნენ გადაენაცვლათ ახალ პოზ ციებზე.

ბულგარეთის კაბინეტის გადადგომა

ჟენევა, 1 სექტემბერი (საკდესი). ბულგარეთის პრემიერ-მინისტრმა ბაგრიანოვმა დღეს რადიოთი განაცხადა თავის კაბინეტის გადადგომის შესახებ. ბაგრიანოვმა განაცხადა, მას ევალება ახალი მთავრობის შექმნა სახელმწიფო საქმეების ხელმძღვანელობა.

დუშეთის კლუბის თეატრალური წრე

დუშეთის სარაიონო კლუბის თეატრალურმა წრემ, (ხელმძღვანელი ე. ნავაძე), რამდენიმე წარმოდგენა გამართა რაიონის სასოფლო კლუბებში. კოლმეურნეები გულთბილად იღებდნენ ყველა სპექტაკლს. თეატრალურმა წრემ მაყურებლებს უჩვენა შ. დადიანის „გეგეჭკორი“, წერეთლის „პატარა ყანი“, ა. ცაგარელის „ბ კის ქალი გულჯავარ“, ვ. გაბესკირიას „ბ ამბავი“ და სხვ. წრე ამჟამად ამზადებს ვ. ბ ნიის „და-ძმას“.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის კლენუმი

9 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ კლუბში (ლენინის ქ. № 28) მოწვეულია საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის IX პლენუმი.

დღის წესრიგი:

1. რაიონული აქტივის მარქსისტულ-ლენინური სწავლების შესახებ (მომხსენებელი რაიკომის მდივანი ამხ. ქვლივიძე).

2. ანგარიში პარტიაში მიღების შესახებ (მომხსენებელი რაიკომის ხაორგანიზაციო-ხაინსტრუქტორო განყოფილების გამგე ამხ. ლ. ოთაძეშვილი).

მედიკოსანიტარული ესკადრილიის ასაგებად

ქალაქ ქუთაისის სამედიცინო მუშაკთა შ რის მხურვალე გამოხმაურება ჭკოვი მეფ შრომის კავშირის ინიციატივამ მედიკოსანიტ რული ესკადრილიის ააგებად თანხების შ როვების საქმეში.

1-ლ აგვისტოსათვის ესკადრილიის ა ონდში შეტანილია 113.980 ათასი მანეთ ექიმმა კ. ცაგარეიშვილმა ნაღდ ფულად 2.0 მანეთი შეტანა, ექიმმა ა. ამირაგოვმა—1.0 მანეთი, ი. ზვიადაძემ—1.000 მანეთი, ი. ლ ბაშვილმა—977 მანეთი, ტ. გორჩაძემ—575 მ ნეთი, გ. ლორთქიფანიძემ—500 მანეთი.

მედიკოსანიტარული ესკადრილიისათვის თ ნების შეგროვება გრძელდება.

პასუხისმგებელი რედაქტორი

ბ. ნანიტაშვილი

ჩიქოვანი, კვახაძე, გამცემლიძე, ცნობილაძე, ვადაკორია, ქავთარაძე, ნიკარაძე, ორაგვილიძე, მუნჯიშვილი, კაბიანი, ფაცურია, თუმანიშვილი, ზოიძე, ნადირაშვილი, კიზირია, ჯიქია, მგალობლიშვილი იუწყებიან ზაალი ბაბუხადიას გარდაცვალებას.

ა.-კ. რკინიგზის თბილისის მუშათა მომარაგების განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან სერგო ნავროზაშვილის მამის ნიკოლოზ ნავროზაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 2/IX, 7 ს. გამოსვენება 3/IX, 3½ ს. კონდოლის, 16.

დედა ელენე, და სონია, ძმა ივანე იუწყებიან მარგო ალექსიან-ასულ დანელიას გარდაცვალებას.

შვილები ნათელა, ჯუმბერ, დები მარიამ, ქეთევან, ქსენია, დედები მარიამ, ანა, ბიძები ვასილ. დათიკო ქებაძეები იუწყებიან თამარ მოწონელიძე-ნიეარაძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 2/IX, 7 ს. გამოსვენება 3/IX, 1 ს. კალანდაძის, 29.

საბლიტგამის თანამშრომლები ჭანტურიშვილი, თაბუკაშვილი, კაკუშაძე, ჩარკვიანი, გოგუაძე, ქუჩუკაშვილი, ცაბაძე, ბერძენიძე, ჩიღვინაძე, ჭავჭანიძე, ვანიძე იუწყებიან მანუელ ჯაფის დედის ანტონინას გარდაცვალებას.

დაკარგულია საქართველოს [illegible] ოპერაციის კავშირის სისტემაში შეტანილ ბამბის ძაფსართავი ფაბრიკის მრგვალი ბეჭ დი. ს. ბ.

„კომუნისტის“ წერილების კიაღიაკვაღ

„ორი გაზეთი—ორი მაგალითი“

ამ სათაურით გაზეთ „კომუნისტის“ 2 აგვისტოს ნომერში მოთავსებული იყო პრესის მიმოხილვა, რომელიც ეხებოდა მეშახტეთა გაზეთების — „ტყიბულის მაღაროელისა“ და „ტკვარჩელსკი გორნიაკის“ მუშაობას. წერილში აღნიშნული იყო გაზეთ „ტკვარჩელსკი გორნიაკის“ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

საქართველოს კ. პ. (ბ) ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. კ. ჩაგუნავა გვატყობინებს, რომ საქალაქო კომიტეტის ბიუროს „კომუნისტში“ მოთავსებული პრესის ამ მიმოხილვის საფუძველზე განიხილა გაზეთ „ტკვარჩელსკი გორნიაკის“ მუშაობის საკითხი. ბიუროს აღნიშნა, რომ გაზეთი „კომუნისტი“ სწორად მიუთითებდა „ტკვარჩელსკი გორნიაკის“ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

საქალაქო კომიტეტის ბიუროს წინადადებ მისცა გაზეთ „ტკვარჩელსკი გორნიაკის“ პასუხისმგებელ რედაქტორს ამხ. გოლდინოვს გამოასწოროს გაზეთ „კომუნისტის“ მიერ მითითებული ნაკლოვანებანი. საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების კამგეს ამხ. ტუეკას დაევალა თვალყური ადევნოს საქალაქო კომიტეტის ბიუროს ამ დადგენილების შესრულებას.

ტყიბულელთა ნარმაგებები

ტყიბული („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). სტახანოვური მოძრაობის ცხრა წლისთავი ტყიბულელმა მეშახტეებმა ახალი წარმატებებით აღნიშნეს. 29 და 30 აგვისტოს ტრესტმა ქვანახშირის ამოღების ხადღელამისო დავალების შესრულების ისეთ მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია, როგორიც მას ორი თვეა არ ჰქონია.

სტალინის სახელობის შახტის პირველი საექსპლოატაციო უბნის მეშახტეები (უფროსი შ. შოთაძე), რომლებმაც აგვისტოს გეგმა 6 დღით ადრე შეასრულეს, ამ თვის უკანასკნელ რი